

## საქართველოს კანონი

### „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №46, 3.12.1997, გვ. 72) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-3<sup>1</sup> მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებას ახორციელებენ ქალაქისა და რაიონის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები, რომლებსაც მეთოდურ ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მთავარი არქმშენისსპექციის, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მეშვეობით.“.

ბ) მე-4 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე და ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოებისათვის ადგენს ამ ობიექტებზე ზედამხედველობის გეგმას და იღებს ინფორმაციას მისი შესრულების შესახებ. იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სახელმწიფო ზედამხედველობას, რომლებზედაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მშენებლობის ნებართვას გასცემენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე მდებარე თვითმმართველი ქალაქის თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, ასევე ახორციელებენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები;

დ) ადგილზე ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოების საქმიანობის შერჩევით შემოწმებებს და შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით საკითხს აყენებს მათი ზემდგომი ორგანოების წინაშე, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებში ეს უფლებამოსილება აგრეთვე ხორციელდება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ.“.

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მთავარი არქმშენისსპექცია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე და სხვა უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ობიექტებზე, უზრუნველყოფენ მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებლობის უსაფრთხოებასა და შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციო საიმედოობას.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.